გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

განკარგულება № 116

2022 წლის 10 ივნისი
ქ.გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2021 წლის 01 აგვისტოდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2021 წლის 01 აგვისტოდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2021 წლის 01 აგვისტოდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიში (დანართი თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ

(01.08.2021 – 20.05.2022წ)

დ ა გ ე გ მ ი ლ ი თ ა ნ ხ ა ს უ ლ - (2 009 500 ლარ)

ჯ ა ნ დ ა ც ვ ი ს მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა (956 652 ლარი)

1.ონკოლოგიური მუხლით - 874 განცხადება; 321126 ლარი

2.სოც.დაუცველი მოსახლეობის სამედ.დახმარება -796 განცხადება; 257077 ლარი

3.უფასო მედიკამენტები - 313 განცხადება; 49854 ლარი

4.იშვიათი დაავადებები, ცერებრალური, აუტიზმი, დაუნის სინდრომი - 440 განცხადება; 285 135 ლარი

5.დიალიზზე მყოფი და C ჰეპატიტით დაავ. დახმარება - 85 განცხადება; 42500 ლარი

6.სქოლიოზით დაავადებულთა დახმარება - 4 განცხადება; 960 ლარი

სულ 01.08. 2021წ -20.05. 2022 წ. – 2512 განცხადება დაკმაყოფილდა.

ს ო ც ი ა ლ უ რ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა (753 559 ლარი)

1.სტუდენტების და სპორტსმენების დახმარება - 93 განცხადება; 46500 ლარი

2.მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება - 99 განცხადება; 34800 ლარი

3.დედ–მამით ობოლი ბავშვების დახმარება - 47 განცხადება; 47000 ლარი

4.ხანძრების და სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურება - 31 განცხადება; 33167 ლარი

5.ვეტერანების და მათი ოჯახების სოციალური დახმარება - 84 განცხადება; 22 600 ლარი

6.მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება - 448 განცხადება; 227 900 ლარი

7.ასწელს გადაცილებული უხუცესების დახმარება - 4 განცხადება; 4000 ლარი

8. რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარება - 22 განცხადება; 10320 ლარი

9. მარტოხელა მშობლების დახმარება - 108 განცხადება ; 51 200 ლარი

10. ოჯახში ძალადობის მსხვეპლთათვის დახმარება - 16 განცხადება; 4800 ლარი

11. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის ერთჯერადი ფულადი დახმარება - 257 განცხადება; 126 736 ლარი

12. სოციალურად დაუცველი ოჯახების ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსების“ თანამონაწილეობის წილის დაფინანსება - 0 განცხადება

13. მხედველობით მკვეთრად მნიშვნელოვნად გამოხატული (უსინათლო) და სმენადაქვეითებული (ყრუ-მუნჯი) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება - 324 განცხადება; 94800 ლარი

14.სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულის ფულადი დახმარება - 4 განცხადება; 536 ლარი

15.გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა - 0 განცხადება.

16. ერთჯერადი სოციალური ფულადი დახმარება - 21 განცხადება; 13 200 ლარი

სულ სოციალური მიმართულებით 01.08. 2021 - 20.05. 2022 წწ. – 1558 განცხადება დაკმაყოფილდა.

სულ სოციალური და ჯანდაცვის მუხლებით დაკმაყოფილდა - 4070 განმცხადებელი

სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამა (250 000 ლარი)

2021 წელს დაფინანსდა-11 პროექტი; გაიხარჯა 153 731 ლარი

2022 წელს ფინანსდება -13 პროექტი; გაიხარჯა 70 052 ლარი

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (135 000 ლარი)

გორის საზოგადოებრივი ჯანდაცის სამსახურის სტაბილურად მუშაობის, ქვეყანაში და კერძოდ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის

სამსახურის ჩართულობით ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამოსწორებამდე გატარებული იქნა შემდეგი ღონიზძიებები:

ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა შესახებ გორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტერში ყოველდღიურად შემოდიოდა სასწრაფო შეტყობინებები, რომლის დაუყოვნებლივ კვლევასაც ანხორციელებენ ეპიდემიოლოგები და ეპიდთანაშემწეები, ხდებოდა ამ ინფორმაციის შეტანა ეპიდზედამხედველობის ელექტრონულ სისტემაში;

მიმდინარე წელს იმუნიზაცია პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის მიხედვით ჩატარდა. დროულად მოხდა ვაქცინების მიწოდება სამედიცინო დაწესებულებების და პირველადი ჯანდაცვის ცენტრის სამედიცინო პერსონალისთვის. გრიპის სეზონის დაწყებისთანავე მუნიციპალიტეტში აქტიურად დაიწყო სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია;

პროფილაქტიკური სამსახურის მიერ, მოხდა სანიტარილ-ჰიგიენური მდგომარეობის შესწავლა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასკოლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, სილამაზისა და ესთეტიკის სალონებში;

პანდემია 2021 – 2022 წელი

ქვეყანაში და კერძოდ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ჩართულობით ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამოსწორებამდე გატარებული იქნა შემდეგი ღონიზძიებები:

1) საზოგადოებრივი ტრანსპორტის სტაბილურად ამუშავებამდე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო დაწესებულების პერსონალისთვის, მერიამ გამოიყო ტრანსპორტი გორიდან სამუშო ადგილამდე მიყვანის და უკან გორში დაბრუნების მიზნით.

2) არასმთავრობო ორგანიზაციებთან თანადაფინანსების პროექტებში მონაწილეობით და სავაჭრო ობიქტებსა და გორის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუწველზე, გორის მერიამ უზრუნველყო სოციალურად დაუცველ და სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებზე სასურსათო და ჰიგიენური პაკეტის მოწოდება, მათი ცხელი სადილითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

შექმნილი პრობლემები და მათი შემცირება

1. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის კომუნალური გადასახადების შემცირება;**

2. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პროფესიული გადამზადების ხელშეწყობა;**

3. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ადაპტაცია არსებულ გარემოში:**

ა) ქუჩაში ფეხით და ეტლით მოსიარულეთათვის, სპეციალური ნიშნების დამონტაჟება, ბილიკების და პანდუსების მოწყობა;

ბ) საცხოვრებელ ბინებში, სამუშაო ადგილებზე, მომსახურეობის, სავაჭრო, კულტურის, სპორტის ცენტრებსა და თავშეყრის ადგილებში პანდუსების და მათთვის შესაფერისი პირობების მოწყობა;

გ) სურდო თარჯიმნების დასაქმება, საინფორმაციო, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში;

4. "ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში" გაუთვალისწინებელი დაავადებების მკურნალობის, კვლევების და მედიკამენტების დაფინანსება;

5. ომისგანთ დაზარალებული მოსახლეობის და სხვა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ფსიქო - სოციალური რეაბილიტაცია;

6. მოხუცებილთა და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის დროებითი საცხოვრისების შემენა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ბინების რეაბილიტაცია;